ერთობლივი კომიტეტის გადაწყვეტილება №1/2010
საქართველოს და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების I ოქმის II დანართის ცვლილების შეტანის თაობაზე

ერთობლივი კომიტეტი,
მხედველობაში იღებს რა, 2007 წლის 21 ნოემბერს, ქ თბილისში ხელმოწერილ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას (შემდგომში „შეთანხმება“);

მხედველობაში იღებს რა, შეთანხმების 34-ე მუხლს, რომელიც ეხება შეთანხმების დანართებსა და ოქმებში დამატებების შეტანას;

მხედველობაში იღებს რა, შეთანხმების 35-ე მუხლს, რომელიც უფლებას ანიჭებს ერთობლივ კომიტეტს, რომ მიიღოს გადაწყვეტილება შეთანხმების ოქმებსა და დანართებში დამატებების შეტანის თაობაზე;

მხედველობაში იღებენ რა, გადაწყვეტილებას №1/2009, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ერთობლივი კომიტეტის საპროცედურო წესების თაობაზე;

თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1
თურქეთის რესპუბლიკა ქვემოთ ხსენებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასთან დაკავშირებით, რომლის წარმოშობის ადგილსაც წარმოადგენს საქართველო, ქვემოთ ხსენებული მოდალობის კონტექსტში, ცვლის შეღავათებს იმპორტზე. შესაბამისად, ეს პროდუქცია და მასთან დაკავშირებული საშეღავათო მოდალობები დაემატება შეთანხმების I ოქმის II დანართის B ცხრილს

CN კოდი	პროდუქციის მოკლე აღწერა	სატარიფო კვოტის მოცულობა (ტონები)	უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით (MFN) განსაზღვრული საბაჟო გადასახადის შემცირება (%)
1208.90	სხვა	15,000	100

მუხლი 2.

წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის შეთანხმების 34-ე მუხლის შესაბამისად.

რის დასტურადაც, ქვემორე სრულუფლებიანი ხელისმომწერნი, ხელს აწერენ წინამდებარე გადაწყვეტილებას.

შესრულებულია ქ. თბილისში, 2010 წლის 23 დეკემბერს, ორ დედნად ინგლისურ ენაზე.

საქართველოს სახელით	თურქეთის რესპუბლიკის სახელით
ბაკურ კვეზერელი	მურათ იაპიცი
	ევროკავშირის საქმეთა დირექტორატის
სოფლის მეურნეობის მინისტრი	გენერალური დირექტორი
	საგარეო ვაჭრობის ქვესამდივნო